<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამა

2013 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. **პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:**

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტი

2. **პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

“ 1 იანვარი “ 2013 წ.

“ 31 დეკემბერი “ 2013 წ.

3. **პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი**

140,000 (ასორმოცი ათასი) ლარი

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	140,000	**ლარი**
ბ) დამატებითი	0	**ლარი**

5. **პროგრამის (ქვეპროგრამის) განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

2012 წლისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 192 ბავშვთა ცერებრული დამბლისა და სხვა პარალიზური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ამასთანავე, ვინაიდან დიაგნოზის დაზუსტება ხდება 4-6 თვის ასაკში, ყოველწლიურად იზრდება ასეთი პაციენტების რაოდენობა ახლად გამოვლენილი შემთხვევების ხარჯზე. ბავშვთა ასაკში ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, ასევე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადებების მართვის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა აბილიტაცია და რეაბილიტაცია, რეაბილიტაციის კურსების სისტემატიური ჩატარება ხელს უწყობს პაციენტების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას, ასევე მათი სოციალური ადაპტაციის და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის ჩატარება დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან, რომლის გაწევაც მნიშვნელოვანი ფინანსური რისკების წინაშე აყენებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ოჯახებს, რომელთა დიდი ნაწილი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში. ქვეყანაში მოქმედებს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა", რომლის ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებშიც ხორციელდება ამ პაციენტებისათვის მომსახურების მიწოდება, მაგრამ აღნიშნული პროგრამით აჭარაში სარგებლობს მხოლოდ 60-მდე ბავშვი. 2012 წელს სამინისტრო ახორციელებდა ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტს (შემდეგში-კომპონენტი), რეაბილიტაციის კურსები დაუფინანსდა 108 პაციენტს. 2013 წლისათვის კომპონენტით სამიზნე ჯგუფის 100 და მეტ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს მიეწოდება ფსიქოსომატური რეაბილიტაციის 400 კურსი (15 დღიანი), რაც ხელს შეუწყობს ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	სამიზნე ჯგუფის ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფსიქოსომატური რეაბილიტაციის მომსახურების მიწოდებით.	- პროგრამის ბენეფიციართა მოტორული ფუნქციების, გონებრივი განვითარების, მეტყველების ფუნქციების, ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის შეფასებისთვის მოწოდებული სპეციალური კრიტერიუმების დაკმაყოფილების ხარისხი; - პროგრამაზე მოთხოვნილება და ჩართულობის მაჩვენებელი.

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2013 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი

1	სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X											
2	ფსიქოსომატური რეაბილიტაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	**სულ**
	ძირითადი	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი**	140,000			**140,000**
	დამატებითი					**0**
	სულ		**140,000**	**0**	**0**	**140,000**

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი
2013 წელი					
I	საქონელი და მომსახურება				

სულ საქონელი და მომსახურება					
II	სოციალური უზრუნველყოფა				
1	ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კურსი	სრული კურსი	400	350	140,000
	რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები და მათი ღირებულება				
1.1	ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის ბავშვის ინდივიდუალური ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) წლიური გეგმის შედგენა	გეგმის შედგენა			
1.2	ფიზიკური თერაპია (მოტორული უნარ-ჩვევების განვითარება)	15			
1.3	მეტყველების და ენის თერაპია (კომინიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, კვების, სწორი სუნთქვის უნარის განვითარება)	5			
1.4	ექიმის მეთვალყურეობა (ნევროლოგის კონსულტაცია, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება)	3			
1.5	ბავშვის ფსიქოლოგიური დახმარება (ფსიქოლოგიური ტესტირება, გონებრივი განვითარების შეფასება და კორექცია)	2			
1.6	ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ფსიქოლოგიური დახმარება	3			
1.7	შესაბამისი სპეციალისტების მიერ ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისათვის ფიზიკური თერაპიის სახლის პირობებში ჩატარების სწავლება	3			
სულ სოციალური უზრუნველყოფა					**140,000**
III	არაფინანსური აქტივები				

სულ არაფინანსური აქტივები	0
სულ ჯამი	140,000

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის (რეაბილიტაციის) კომპონენტი	I-IV კვარტალი	შესყიდვა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით	140,000	

დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

კომპონენტი განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. კომპონენტით მისაწოდებელი მომსახურების პირობებს, ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს სამინისტრო.

სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება (1 კურსი - 15 დღე) ანაზღაურდება სარეაბილიტაციო ღონისძიებების ტარიფით 350 ლარის ოდენობით. კომპონენტით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. პაციენტებს რეაბილიტაციის კურსით გათვალისწინებული ღონისძიებები ჩაუტარდებათ პაციენტის ინდივიდუალური აბილიტაციის გეგმის შესაბამისად, რომლის ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს კომპონენტით გათვალსწინებული სრული კურსის ტარიფს (350 ლარი). წელიწადში 1 პაციენტს დაუფინანსდება არაუმეტეს 3 კურსისა. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოითხოვს რეაბილიტაციის დაფინანსებას დაწესებულებაში, სადაც მომსახურება მიეწოდება განსხვავებული პირობებით და მისი ღირებულება აღემატება კომპონენტით გათვალისწინებულ ტარიფს, სამინისტრო უზრუნველყოფს მის დაფინანსებას კომპონენტით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, ხოლო დარჩენილ ნაწილს დაფარავს ბენეფიციარი.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

კომპონენტის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება ბავშვთა ცერებრული დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილეფსიისა და მხრისა და მხრის სარტყლის ნერვების დაზიანების მქონე, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) პირველადი დაზიანების, ბავშვთა ცერებრული დამბლის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები.
კომპონენტის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):
1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება კომპონენტის ფარგლებში;
3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.
ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს რეაბილიტაციის კურსის აუცილებლობა;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ქსეროასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიცირება;
- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ქსეროასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

რეაბილიტაციის კურსის ღირებულება განისაზღვრა დაწესებულებების შიდა სტანდარტის მიხედვით. მოსარგებლეთა რაოდენობა სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს.

პროგრამის (ქვეპროგრამის) წარმომდგენი ორგანოს ხელმძღვანელი: ----------

(ხელმოწერა)

ნუგზარ სურმანიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

გვარი, სახელი და თანამდებობა :

ბ.ა.

" ------- " "----------" 2012 წ